



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

28 მარტი 2011 წელი

ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე: ნატალია ნაზდაიძე
მოსამართლეები: ნათია გუჯაბიძე
ქეთევან მესხიშვილი

აპელანტი – კახა კვარაცხელია

მოწინააღმდეგე მხარეები – გიორგი ბერიშვილი, ნონა გაბილაია, გიორგი გაბილაია, თამარ გაბილაია, ლიანა მანდარია

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება

დავის საგანი – საცხოვრებელი სადგომით წარმოშობილი ურთიერთობა, ხელშეკრულების ბათილად ცნობა

სააპელაციო პალატამ ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა სამოქალაქო საქმეზე №2ბ/2036-10 პუბლიკაციის მეშვეობით საჯარო შეტყობინების გავრცელების შესახებ საკითხი და

გ ა მ თ ა რ კ ვ ი ა

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის წარმოებაშია სამოქალაქო საქმე №2ბ/2036-10. აპელანტი: კახა კვარაცხელია; მოწინააღმდეგე მხარეები: გიორგი ბერიშვილი, ნონა გაბილაია, გიორგი გაბილაია, თამარ გაბილაია, ლიანა მანდარია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება

სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებიდან ან გაზეთში ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

დაზუსტებულ სარჩელში და სააპელაციო საჩივარში მოწინააღმდეგე მხარეების – თამარ გაბილაიას და გიორგი გაბილაიას საცხოვრებელი მისამართია – ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №4.

აღნიშნულ მისამართებზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ არაერთხელ გაგზავნილი სასამართლო უწყება არ ჩაბარდათ მოწინააღმდეგე მხარეებს - თამარ გაბილაიას და გიორგი გაბილაიას. მათთვის არაერთხელ გაგზავნილ სასამართლოში დაბრუნებულ გზავნილებზე ჩაუბარებლობის მიზეზად აღნიშნულია, რომ მეზობლების განმარტებით ადრესატები მითითებულ მისამართზე არ ცხოვრობენ.

ამდენად, მოწინააღმდეგე მხარეების – თამარ გაბილაიას და გიორგი გაბილაიას ადგილსამყოფელი დაუდგენელია და კანა კვარაცხელიას სააპელაციო საჩივრის განსახილველად მთავარი სხდომის შესახებ უნდა ეცნობოთ საჯარო პუბლიკაციის მეშვეობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ გაითვალისწინა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლით განსაზღვრული დებულებები, მიიჩნია, რომ ვინაიდან, მოწინააღმდეგე მხარეების მისამართი უცნობია და მათთვის მთავარი სხდომის დღის შესახებ უწყებების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, მოწინააღმდეგე მხარეებს თამარ გაბილაიას და გიორგი გაბილაიას სასამართლოს მთავარი სხდომის გამართვის თარიღის (2011 წლის 13 აპრილი 10⁰⁰ საათზე) შესახებ ეცნობოთ საჯარო შეტყობინების გზით. ამასთან, სასამართლო შეტყობინება საჯაროდ განთავსდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვებგვერდზე (www.tbappeal.court.ge).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე, 284-ე, 285-ე და 390-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ო ნ ა

1. სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოწვევა განხორციელდეს საჯარო შეტყობინების ფორმით; სასამართლო შეტყობინება საჯაროდ განთავსდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვებგვერდზე (www.tbappeal.court.ge).
2. სასამართლოს მთავარი სხდომა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში დაინიშნოს 2011 წლის 13 აპრილს 10:00 საათზე, რომელიც გაიმართება თბილისის სააპელაციო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი გრ. რობაქიძის გამზ. №7^o);
3. 2011 წლის 13 აპრილს 10:00 საათზე დანიშნულ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოწვეულ იქნენ განსახილველ საქმეში მოწინააღმდეგე მხარეებად მითითებული თამარ გაბილაია და გიორგი გაბილაია.
4. განჩინება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებიდან მე-7 დღეს
5. სხდომაზე დასაბარებელი პირები გაფრთხილებულ იქნენ, რომ არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავის შესაბამისად მათ წინააღმდეგ გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას.
6. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

თავმჯდომარე:

ნატალია ნაზლაიძე

მოსამართლეები:

ნათა გუჯაბიძე

ქეთევან მესხიშვილი